

ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N13 საცხოვრებელი სახლის N36 ბინაზე, მოქალაქეების ლალი ბიწაძისათვის, მარინე და ლევანი კვიციანიძეებისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N13 საცხოვრებელი სახლის N36 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ლალი ბიწაძის წარმომადგენლის ნათია ჩხეტიანის, მარინე და ლევანი კვიციანიძეების წარმომადგენლის მარინე იოსელიანის განცხადებები /2013 წ.29.05 №-5820, 07.06 №-6202/, რითაც ითხოვენ საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N13 საცხოვრებელი სახლის N36 ბინა/ საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქეების ლალი ბიწაძის, მარინე და ლევანი კვიციანიძეების სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N13 საცხოვრებელი სახლის N36 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოთ მოქალაქეებს ლალი ბიწაძეს, მარინე და ლევანი კვიციანიძეებს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N13 საცხოვრებელი სახლის N36 ბინაზე /საერთო ფართობი 60,21 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 34,95 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,26 კვ.მ./ მოქალაქეების ლალი ბიწაძის, მარინე და ლევანი კვიციანიძეების სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე